დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 6

ქ. დმანისი

29 ივნისი 2026 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. სოფიო ასლამაზაშვილი
6. ლერი ბერუაშვილი
7. მურაზი აბრამიშვილი
8. მაკა ოკმელაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. ემზარი პეტრიაშვილი
11. ნოდარი ადუაშვილი
12. დავით დაუთაშვილი
13. გიორგი გურჩიანი
14. ნატიგ ოვჩიევი
15. სტამბულ ისაევი
16. ქამრან მამედოვი
17. მიხეილ დაუთაშვილი
18. შალვა ღამბარაშვილი
19. შოთა აკობაშვილი
20. გამლეტ ისმაილოვი
21. ემილ იბრაგიმოვი
22. თეიმურაზ მენაბდიშვილი
23. ირაკლი მუჯირიშვილი
24. აიდინ შარიფოვი
25. შაქირ ჩერპანოვი
26. ლომა გადრანი
27. ლია კავლელაშვილი
28. გოჩა გოჩაძე
29. ვაგიფ მუსაევი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.

სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი

სხდომა დაიწყო: 12. 00

სხდომა დასრულდა: 12. 35

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე		
		მომხსენებელი:	**მ. ასლანიშვილი**
2	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
		მომხსენებელი:	**თ. ტატულაშვილი**
3	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
		მომხსენებელი:	**გ. გრიგალაშვილი**
4	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეთანხმების შესახებ		
		მომხსენებელი:	**გ. გრიგალაშვილი**
5	**დადგენილება:** "დმანისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ"		
		მომხსენებელი:	**გ. გრიგალაშვილი**
6	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის პროგრამების დამტკიცების შესახებ		
		მომხსენებელი:	**გ. გრიგალაშვილი**

7	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №-109.109253582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**მ. ოკმელაშვილი**	
8	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის/გეგმის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის №-109.109260236 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**	
9	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ		
	მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**	
10	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ		
	მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**	
11	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 12 ნოემბრის №-109.109253164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**ს. ასლამაზაშვილი**	

საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საკრებულოს წევრის, საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის ილია სარსევანიძის ხსოვნას.

1. მომხსენებელმა: მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

ცნობად იქნეს მიღებული დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის ილია სარსევანიძის უფლებამოსილების 2026 წლის 04 ივნისიდან ვადამდე შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული.

მომხრე: 29.

წინაღმდეგი: არცერთი.

2. მომხსენებელმა: თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 ივნისის #1266 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის #102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტს, ნაცვლად 3.781,6 ათასი ლარისა გამოეყო 4.038,18 ათასი ლარი, სხვაობა შეადგენს **256,6** ათას ლარს. აღნიშნული თანხა აისახოს „შემოსულობები“-ს „გრანტი“-ს მუხლში და შესაბამისად „გადასახდელები“-ს ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 4.660,3 ათასი ლარისა განისაზღვროს 4.916,9 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის N8-109261482 განკარგულების საფუძველზე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხების გადანაწილების შესახებ“ ორგანიზაციული კოდი 02_06 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლიდან 16,3 ათასი ლარი გადატანილ იქნეს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 651,7 ათასი ლარისა განისაზღვროს 668,0 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2026 წლის 22 ივნისის #05-10826173105 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, 2026 წლის 22 ივნისის მდგომარეობით, დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოქმნილია შემდეგი ჭარბი თანხები:

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან 102,0 ათასი ლარი, ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების საკუთრაებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან 36,0 ათასი ლარი, ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების საკუთრაებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან 30,0 ათასი ლარი, რაც ჯამში შეადგენს **168,0** ათას ლარს, რომელიც აიხახოს „შემოსულობები“-ს „შემოსავლები არაფინანსური აქტივებიდან“ „მიწა“-ს მუხლში და შესაბამისად აღნიშნული თანხა, დმანისის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2026 წლის 24 ივნისის #03-1082617514 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე გადანაწილდეს შემდეგნაირად:

- ორგანიზაციული კოდი 02_04_01 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს 118,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.183,3

ათასი ლარისა განისაზღვროს 1.301,3 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

- ორგანიზაციული კოდი 02_04_02 „ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია"-ს „სხვა ხარჯები"-ს მუხლი გაიზარდოს 50,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.000,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 1.050,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის №-109261481 განკარგულების საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია"-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლი შემცირდეს 13,5 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილ იქნეს ორგანიზაციული კოდი 02_04_01 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია"-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლში და და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.301,3 ათასი ლარისა განისაზღვროს 1.314,8 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური"-ს ხელმძღვანელის 2026 წლის 24 ივნისის #33-1082617561 წერილის საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 04_01_01 ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური"-ს „სუბსიდიები"-ს მუხლიდან, ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლში გადატანილ იქნეს 200,0 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 20,2 ათასი ლარისა განისაზღვროს 220,2 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2026 წლის 21 მაისის #05-1082614112 მოხსენებითი ბარათის და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 21 მაისის #ბ108. 1082614111 ბრძანების შესაბამისად, ორგანიზაციული კოდი 01_02_05 „ქალთა და ბავშთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობის ღონისძიებები"-ს „საქონელი და მომსახურება"-ს მუხლი შემცირდეს **7,0** ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილ იქნეს ამავე კოდის „სხვა ხარჯები"-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 7,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ა(ა)იპ „დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური"-ს დირექტორის 2026 წლის 21 მაისის #32-1082614186 წერილის და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 01 მაისის #ბ108.108261526 ბრძანების შესაბამისად, ორგანიზაციული კოდი 05_02_03 ა(ა)იპ „დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური"-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლი შემცირდეს 5,0 ათასი ლარით, საიდანაც 3,5 ათასი ლარი გადატანილი იქნეს ამავე მუხლის მესამე კვარტალში, ხოლო 1,5 ათასი ლარი გადატანილ იქნეს ამავე კოდის „სუბსიდიები"-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 72,8 ათასი ლარისა განისაზღვროს 74,3 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 10 ივნისის #ბ108.108261612 ბრძანების საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 03_03 „კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების

სფეროში“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან ამავე კოდის „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში გადატანილ იქნეს 68,7 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 68,7 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);„

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **37 776,5** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 29

წინააღმდეგი: არცერთი.

3. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციური ანალიზითა და შიდაორგანიზაციული რესურსების ოპტიმიზაციის აუცილებლობით. საჯარო სამსახურის ეფექტიანობის ამაღლებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მერიაში არსებული 4 (ოთხი) ვაკანტური საშტატო ერთეულის გაუქმება, ვინაიდან აღნიშნული პოზიციების ფუნქცია - მოვალეობების გადანაწილება შესაძლებელია არსებულ მოხელეებზე, სამუშაო პროცესის შეფერხების გარეშე.

კერძოდ, ცვლილება ითვალისწინებს შემდეგი ვაკანტური შტატების გაუქმებას:

1. ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (1 ერთეული);

2. ამავე სამსახურის ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (1 ერთეული);

3. მუნიციპალური ინსპექციის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (1 ერთეული);

4. დალარის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის – სპეციალისტის შტატი (1 ერთეული).

ვინაიდან ოთხივე საშტატო ერთეული ამჟამად არის ვაკანტური, აღნიშნული ცვლილება არ იწვევს მოქმედი საჯარო მოხელეების სამსახურიდან გათავისუფლებას ან მათ რეორგანიზაციაში ჩართვას, რაც გამორიცხავს სოციალურ ან შრომით-სამართლებრივ დავებს. შესაბამისად, დადგენილებით დამტკიცებული „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ (დანართი N1) და „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ (დანართი N2) ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, შემცირებული საშტატო რაოდენობით.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 29.

წინააღმდეგი: არცერთი.

4. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეთანხმების შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ განსაზღვროს არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა 20 (ოცი) საშტატო ერთეულის ოდენობით 21-ის ნაცვლად. ასევე, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში შეეძლოს შეცვალოს საშტატო ერთეულის პოზიციის დასახელება. ასევე, ამავე განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეთანხმების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 26 თებერვლის Nგ-109.109260575 განკარგულება.

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29.

წინაღმდეგი: არცერთი.

5. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი "დმანისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ"

დღეის მდგომარეობით, დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების ძირითად სამართლებრივ საფუძვლებს განსაზღვრავს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის №3-14 დადგენილება. აღნიშნული ნორმატიული აქტი მიღებულია საკმაოდ დიდი ხნის წინ, არის არსებითად მოძველებული, იურიდიულად გაუმართავი და ვეღარ პასუხობს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებსა და მუნიციპალიტეტის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

ამასთანავე, 2011 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა საკანონმდებლო ბაზა, მიღებულია საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელმაც მუნიციპალიტეტებს მიანიჭა კონკრეტული უფლებამოსილებები ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების მიმართულებით და ნარჩენების მართვის სფეროში ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცედურები რეგულირდება ცალკეული, 2015 წლის №19 საკრებულოს დადგენილებით.

სამართალწარმოების პროცესის ოპტიმიზაციის, ერთიანი სამართლებრივი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და მოქმედ ორგანულ თუ დარგობრივ კანონმდებლობასთან (განსაკუთრებით, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა“ და „ნარჩენების მართვის კოდექსთან“) სრული ჰარმონიზაციის მიზნით, დღის წესრიგში დადგა ახალი, სისტემური და დახვეწილი ნორმატიული აქტის მიღების აუცილებლობა.

პროექტის მიზანია:

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების ერთიანი, თანამედროვე და სამართლებრივად გამართული წესის დადგენა;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებისა და საჯარიმო ქვითრების ფორმების დამტკიცება;
- ოქმების შევსების, აღრიცხვა-ანგარიშგების, შენახვის, გასაჩივრებისა და აღსრულების პროცედურების მოწესრიგება;
- მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებების

განსაზღვრა;

- „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმების ერთიან აქტში მოქცევა.

დადგენილების პროექტით გაერთიანდეს და ახლებურად მოწესრიგდეს სამართალდარღვევებზე რეაგირების წესი. პროექტი მკაფიოდ ანაწილებს კომპეტენციებს მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მუნიციპალურ იურიდიულ პირებს შორის:

1. მუნიციპალურ ინსპექციას მიენიჭოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“, „ნარჩენების მართვის კოდექსით“ (31-ე–36-ე, 39-ე, 43-ე და 46-ე მუხლები) და „საარჩევნო კოდექსით“ გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირების ძირითადი უფლებამოსილება.

2. ა(ა)იპ „დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ გადაეცეს კოდექსის 43^1 და 43^2 მუხლებით გათვალისწინებულ დარღვევებზე ოქმების შევსების უფლება.

3. მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურს (ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას) მიენიჭოს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მუხლებზე (46^5,46^6,172^8,172^9) რეაგირების მანდატი

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 29.

წინააღმდეგი: არცერთი.

6. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის პროგრამების დამტკიცების შესახებ

განკარგულებით დამტკიცდეს:

ა) „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების სტიქიის შედეგად ან ხანდაზმულობის გამო დაზიანებული სახურავების აღდგენის თანადაფინანსების პროგრამა“.

ბ) „სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული ოჯახებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის პროგრამა.

ამ განკარგულების დამტკიცებული პროგრამებით სარგებლობისათვის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებების განხილვის, დაფინანსების/თანადაფინანსების ოდენობის განსაზღვრის და დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაციის წარდგენის მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და სამუშაო ჯგუფის მუშაობის წესის განისაზღვროს ამავე აქტით.

ამ სამუშაოს ჯგუფის შემადგენლობაში შევიდეს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირები და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები.

ამ პროგრამებით სარგებლობაზე განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა, სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებით. მერს უფლება ექნება სამუშაო ჯგუფის დადებითი რეკომენდაციის მიუხედავად უარი თქვას განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ამავე განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული ოჯახებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის Nგ-109.109220254 განკარგულება.

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29.

წინააღმდეგი: არცერთი.

7. მომხსენებელმა: მაკა ოკმელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109253582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შევიდეს ცვლილება ტრანსპორტით მომსახურების ქვეპროგრამაში, კერძოდ: განკარგულების ქვეპროგრამაში „რ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ტრანსპორტით მომსახურების 2025 წლის მუნიციპალურ ქვეპროგრამაში, დანართი N17-ის მუხლი 4-ში, სადაც ტრანსპორტის მიმართულებაში დაემატოს მარშუტი- სოფ. ქვემო კარაბულახიდან დმანისის და დმანისიდან სოფ.ქვემო კარაბულახის მიმართულებით.

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29

წინააღმდეგი: არცერთი.

8. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის/გეგმის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260236 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის/გეგმის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260236 განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲖᲔ ᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ 2026 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲔᲑᲝ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐ/ᲒᲔᲒᲛᲐ

N	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობა კვ.მ	საბაზრო ღირებულება (ლარში)	აუქციონის ფორა (უპირობო/პირობიანი)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი	შენიშვნა
1	ᲠᲐᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ	დმანისის მუნიციპალიტეტი ს. კიზილქილისა	82.11.41.008	222	92.2	11440	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	

2	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი	82.01.46.807	2445		122250	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
3	სასოფლო - სამურნეო (სათიბი)	ქ. დმანისი	82.01.42.951	276		12420	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
4	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტის ს. ქვემო ოროზმანი	82.14.42.436	1873		14984	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
5	სასოფლო - სამურნეო (სახნავი)	დმანისის მუნიციპალიტეტი ს. შინდლარი	82.10.42.152	20000		30000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
6	სასოფლო - სამურნეო (სახნავი)	დმანისის მუნიციპალიტეტი ს. შინდლარი	82.10.42.153	20000		30000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
7	მეორადი გამოყენების ხიდი	მდებარე ქ. დმანისი 9 აპრილის ჩიხი N4				5139	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
8	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი საფარლო	82.15.41.821	3602		28816	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
9	სასოფლო - სამეურნეო (სათიბი)	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი ზემო კარაბულახი	82.07.47.899	2457		12285	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
10	სასოფლო - სამეურნეო (სათიბი)	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვარდისუბანი, 1-ლი	82.12.48.568	13128	ნანგრევი 555 კვ.მ	31806	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	

		ქუჩის I შესახვევი, N 14							
11	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი ქ. დმანისი წმინდა ნინოს ქუჩა	82.01.46.1005	1902	N1 -485 კვ.მ, N2-53 კვ.მ	144165	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
12	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	ქ. დმანისი	82.01.47.080	30000		60000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
13	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი ს. საფარლო	82.15.41.063	240	157.25	14980	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
14	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	დმანისის მუნიციპალიტეტის ს. ზემო კარაბულახი	82.07.45.569	22074		110370	პირობიანი	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
15	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	დმანისის მუნიციპალიტეტის ს. პანტიანი	82.18.42.461	25737		102948	პირობიანი	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
16	გენერატორი Katana, მოდელი k0600m	ქ. დმანისი ქეთევან დედოფლის ქუჩა				11330	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29.

წინააღმდეგი: არცერთი.

9. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ პირდაპირი განკარგვის წესით, თანდართული დანართებით წარმოდგენილი (დანართი N1 და დანართი N2 თან ერთვის), დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთები (საძოვარი, სათიბი) გასცეს სარგებლობაში იჯარის ფორმით. საიჯარო ქირის ღირებულება განისაზღვროს:

ა) საძოვარი 20 (ოცი) ლარი 1 ჰა-ზე;

ბ) სათიბი 25 (ოცდახუთი) ლარი 1 ჰა-ზე.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა იკითხა მუნიციპალიტეტის ქონების (მიწების) აუქციონის ფორმის წესით სარგებლობის უფლებით გაცემისას ზოგადად იყო თუ არა კონკურენცია. მომხსენებელმა უპასუხა, რომ კონკურენციას მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ჰქონდა ადგილი.

გადაწყვიტეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29.

წინააღმდეგი: არცერთი.

10. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ

მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, დმანისის მუნიციპალიტეტის ქონება, სოფელ სარკინეთში მდებარე 879 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს.კ 82.06.42.170) და მასზე არსებული N1 და N2 შენობა-ნაგებები სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადასცეს თამაზი დაუთაშვილს (პ.ნ 15001025076), საიჯარო ქირის საფასურით - საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 1475 (ერთიათასოთხასსამოცდათხუთმეტი) ლარს წელიწადში.

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29.

წინააღმდეგი: არცერთი.

11. მომხსენებელმა: სოფიო ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 12 ნოემბრის Nგ-109.109253164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

განკარგულებით შესწორდეს „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმაში არსებული ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ:

ა) აქტივობების: 2.1.1, 2.1.2, 4.2.2, 4.3.1, 4.3.2, 5.1.1, 5.3.2, 12.2.2 შემსრულებელის გრაფაში ნაცვლად მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა განისაზღვროს: „მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი“;

ბ) აქტივობა 3.1.2-ის შემსრულებლის გრაფაში დაემატოს: „მერიის სოციალური სამსახური“;

გ) აქტივობა 3.1.3-ის შემსრულებლის გრაფაში ნაცვლად მერიის ეკონომიკის სამსახურისა განისაზღვროს: „მერიის სოციალური სამსახური“;

დ) აქტივობა 4.1.1-ის შემსრულებლის გრაფაში დაემატოს: „სოციალური მომსახურების სააგენტოს დმანისის სერვის ცენტრი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური, მერიის ეკონომიკის სამსახური, მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახური, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური";

ე) აქტივობა 4.2.1-ის შემსრულებლის გრაფიდან ამოღებულ იქნას კულტურის სამსახური, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური, ეკონომიკის სამსახური და განისაზღვროს: "მერიის სოციალური სამსახური";

ვ) აქტივობა 4.2.2-ის შემსრულებლის გრაფა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: "მერიის სოციალური სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, საბჭო";

ზ) აქტივობა 5.3.1-ის შემსრულებლის გარაფაში ნაცვლად მერიის განათლების სამსახურისა განისაზრვროს: "მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური";

თ) აქტივობა 5.3.2-ის შემსრულებლის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მერიის სოციალური სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური";

ი) აქტივობა 6.1.1-ის შემსრულებლის გრაფაში ნაცვლად სტრატეგიული დაგეგმარების სამსახურებისა განისაზღვროს: „მერიის სოციალური სამსახური".

კ) აქტივობა 7.1.1-ის შემსრულებლის გრაფაში ნაცვლად მერიის გარემოს დაცვის სამსახურისა განისაზღვროს: „მერიის მუნიციპალური ინსპექციის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური";

ლ) აქტივობა 8.2.2-ის შემსრულებლის გრაფაში ნაცვლად მერიის საგანგებო სიტუაციების მართვის ან/და უსაფრთხოების სამსახურ(ებ)ისა განისაზღვროს: „საბჭო და მერიის შესაბამისი სამსახურ(ებ)ი";

მ) აქტივობა 9.1.2-ისა და 9.3.1-ის შემსრულებლის გრაფაში დაემატოს: „მერიის ახალგაზრდული საბჭო";

ნ) აქტივობა 10.1.1-ის შემსრულებლის გრაფაში დაემატოს: „მერიის სოციალური სამსახური";

ო) აქტივობებში 11.1.1-ისა და 11.1.2-ის შემსრულებლის გრაფაში ნაცვლად ბავშვის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი სამსახურისა განისაზღვროს: „მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური";

პ) აქტივობა 12.2.1-ის შემსრულებლის გრაფაში დაემატოს: „მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური";

ჟ) აქტივობა 13.1.1-ის შემსრულებლის გრაფაში განისაზღვროს: „შესაბამისი სამსახური (სოციალური სამსახური)";

რ) აქტივობა 14.1.1-ის შემსრულებლის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მერიის სოციალური სამსახური, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური";

ს) აქტივობა 14.2.1-ის შემსრულებლის გრაფაში ნაცვლად მერიის კულტურის სამსახურისა განისაზღვროს: „მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური".

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29.

წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი ტარიელ პაკელიანი

დანართი N1

N	საკადასტრო კოდი	დანიშნულება	მესაკუთრე	მისამართი	დაზუსტებული ფართობი კვ.მ	დაზუსტებული ფართობი ჰა
2	82.17.42.151	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	დმანისის მუნიციპალიტეტი	3166666	317
3	82.16.41.069	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	202469	20
4	82.16.41.061	სათიბი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	15019	2
5	82.16.41.083	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	56040	6
6	82.16.41.064	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	65396	7
7	82.06.42.160	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი გომარეთი	145750	15
8	82.07.47.890	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	მუნიციპალიტეტი დმანისი	66865	7
9	82.09.42.454	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	მუნიციპალიტეტი დმანისი	171734	17
10	82.08.44.172	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი დაგარახლო	39831	4
11	82.08.44.177	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი იფნარი	45457	5
12	82.16.41.067	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	39071	4
13	82.16.41.063	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	66809	7

14	82.16.41.060	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	152141	15
15	82.16.41.074	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	176207	18
16	82.16.41.076	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	49520	5
17	82.16.41.070	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , სოფელი საკირე	46075	5
18	82.17.41.222	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	დმანისის მუნიციპალიტეტი	480989	48
19	82.17.42.137	სათიბი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები	423371	42

დანართი N2

N	საკადასტრო კოდი	დანიშნულება	მესაკუთრე	მისამართი	დაზუსტებული ფართობი კვ.მ	დაზუსტებული ფართობი ჰა
1	82.17.41.017	საძოვარი	თვითმმართველი თემი დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 12	6099202	609.9202
2	82.17.41.043	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 13 , "შამბიანი"	3780000	378
3	82.17.42.035	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 38 , ,,კირმიზბულახი,,	1700001	170.0001
4	82.17.41.225	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 19 , ,,გიურბულახი,,	2528624	252.8624
5	82.17.41.226	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 19 , ,,გიურბულახი,,	2441376	244.1376
6	82.17.41.031	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 15 , ,,სარდალბულახი,,	2341421	234.1421
7	82.17.42.116	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 31	1420000	142
8	82.17.42.022	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 32	1000000	100
9	82.17.42.017	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 31 , ,,ქვემო აგრიკი,,	4540337	454.0337
10	82.17.42.018	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 32	3728871	372.8871

11	82.17.42.012	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 36 , ,,იასტიკარი,,	4380000	438
12	82.17.42.036	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 38 , ,,კირმიზბულახი,,	800000	80
13	82.17.42.013	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 40	2960000	296
14	82.17.42.029	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 37 , ,,ნაზიკლიში,,	4000000	400
15	82.17.42.039	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტი 228928391	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 49 , ,,ქვ. აგრიკალი,,	5420000	542
16	82.17.41.028	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტი	საზაფხულო საძოვრები კონტური , N 40 , ,,ქვემო აგრიკალი,,	1865814	187
17	82.17.42.146	საძოვარი	დმანისის მუნიციპალიტეტი	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები კონტური , N 50 , ,,კარაპლიანდარა,,	1325802	133